ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-25

2010 წლის 29 აპრილი
ქ.ქობულეთი

<u>ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა გამანაწილებელი ქსელის (ხაზობრივი ნაგებობების) მშენებლობაზე შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“-სათვის თანხმობის მიცემის თაობაზე</u>

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №-57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა შ.პ.ს.„სოკარ ჯორჯია გაზს“ თანდართული სქემების (დანართი1-4) მიხედვით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზის მიწისქვეშა გამანაწილებელი ქსელების (ხაზობრივი ნაგებობების) მშენებლობაზე – თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ჯ.ჯინჭარაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ჯ.ჯინჭარაძე